ხელშეკრულება № 616

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 16 ნოემბერი **2015 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ეკატერინე ქავთარაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ნანა ლობჟანიძის სახით, აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

1.2. 2015 წლის საქართველოს მთავრობის 30 ივნისის N308 დადგენილების “2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ.”

1.3 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

1.4 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება.

1.5 „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის „დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექციაზე/შიდსზე და ათაშანგზე“ კომპონენტი.

1.6. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე ვრცელდება ამ მუხლის 1.2 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილებბის პირობები.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 2015 წლის საქართველოს მთავრობის 30 ივნისის N308 დადგენილების “2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ” (შემდგომში - „დადგენილება“) შესაბამისად, „უსაფრთხო სისხლის“ პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით „დონორული სისხლის სკრინინგული გამოკვლევა“ (ღონისძიების) მომსახურების შესყიდვა (CPV85100000).

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი მომსახურეობის (დონორული სისხლის სკრინინგული გამოკვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და ათაშანგზე) ერთეულის ღირებულებაა 22,00 (ოცდაორი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **12,474.00** (თორმეტიათას ოთხასსამოცდათოთხმეტი) ლარს (მათ შორის 2015 წლის დეკემბრის თვის ლიმიტი შეადგენს **6,886.00** (ექვსიათას რვაასოთხმოცდაექვსი) ლარს).

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1 „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია და საქართველოს მასშტაბით სისხლის კომპონენტების თანაბარი სტანდარტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ფასიანი დონორობის ინსტიტუტის ეტაპობრივი ჩანაცვლება უანგარო, რეგულარული დონორობის სისტემით.

5. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურეობა

5.1 ხელშეკრულების ფარგლებში "მიმწოდებელმა" უნდა განახორციელოს შემდეგი მომსახურეობა:

5.1.1 დონორული სისხლის სკრინინგული გამოკვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და ათაშანგზე;

5.1.2 დონაციათა 100% B და C ჰეპატიტებსა და აივ-ინფექცია/შიდსზე ტესტირება EIA მეთოდით. (სწრაფი მარტივი ტესტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ (გამონაკლის) არგუმენტირებულ ურგენტულ შემთხვევებში);

5.1.3. სიფილისზე ტესტირება დონაციათა 100 %-ში ჰემაგლუტინაციის მეთოდით (TPHA) ან სწრაფი მარტივი ტესტების (RPR) მეთოდით;

5.1.4 ხელშეკრულებების გაფორმება ჰოსპიტალურ დაწესებულებებთან სისხლისა და სისხლის პროდუქტებით უზრუნველყოფის თაობაზე. ამასთან, სისხლისა და სისხლის კომპონენტების გაცემას უნდა ახორციელებდნენ მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებზე და არ მოხდეს მათი გაცემა უშუალოდ პაციენტზე ან მის ახლობლებზე;

5.1.5 დონაციების რეგულარული აღრიცხვა სისხლის დონორთა ერთიან მონაცემთა ბაზაში.

5.1.6. გამოკვლეული სისხლის შრატების შენახვა სპეციალური რეჟიმის დაცვით ორი ალიკვოტის სახით (თითოეული მინიმუმ 1.5 მლ ოდენობით) ორი წლის განმავლობაში, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს „შემსყიდველის“ მიერ საკონტროლო ლაბორატორიული კვლევის ჩატარება.

5.1.7 აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული ტესტით დადებითი შემთხვევების დროს გამოსაკვლევი მასალის დაუყოვნებლივ ტრანსპორტირება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით სს "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრში" კონფირმაციული კვლევის ჩასატარებლად.

5.1.8 ყველა დონორი, რომელსაც ჩატარებული აქვს კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით და მიღებული აქვს საეჭვო/დადებითი პასუხი, ინფორმირებული უნდა იყოს „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიების უზრუნველყოფის თაობაზე“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობისა და სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების შესახებ;

5.1.9 ყოველთვიურად, საანგარიშგებო დოკუმენტებთან ერთად იმუნოფერმენტულ ანალიზატორზე შესრულებული სამუშაოს ამონაბეჭდის წარმოდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ტესტის დასახელება და გენერაცია, რეაქტივის მწარმოებელი და ლოტი, ვარგისიანობის ვადა, უარყოფითი და დადებითი კონტროლების რაოდენობა, cut – off ფორმულა, გამოყენების შემთხვევაში Gray zona, გამოკვლეულ დონორთა შედეგები, გამოკვლეულ დონორთა სია (გვარი, სახელი, დონორის უნიკალური კოდი, ბაზაში რეგისტრაციის ნომერი) შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობით.

5.1.10 ხარისხის კონტროლის (პროფესიული ტესტირების) უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის მიმწოდებლად განსაზღვრის შემდეგ, არაუგვიანეს 1 თვის ვადისა უნდა გააფორმოს ხელშეკრულება საერთაშორისო სტანდარტებით აკრედიტებულ რეფერენს ლაბორატორიასთან და ცენტრში წარმოადგინოს აღნიშნული ხელშეკრულების ასლი;

5.1.11 ყოველ 3 თვეში ერთხელ განახორციელოს აღნიშნული ლაბორატორიიდან მიღებულ რეფერენს მასალაზე (სისხლის შრატიანი კოდირებული საკვლევი პანელები, რომელიც მოიცავს ცნობილი სეროლოგიური სტატუსის მქონე სისხლის შრატიან სინჯებს/კომპლექტს) კვლევები და კვლევის შედეგები წარადგინოს ცენტრში;

5.1.12 პროფესიული ტესტირების არადამაკმაყოფილებელი შედეგების (როცა რეფერენს ლაბორატორიის მიერ მიწოდებული შტამებიდან რომელიმე მათგანის სეროლოგიური კვლევის შედეგი და მიმწოდებლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი არ ემთხვევა ერთმანეთს) არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ლაბორატორიული კვლევების ხარისხის კუთხით არსებული პრობლემების აღმოფხვრა და პროფესიული ტესტირების ჩატარება არაგეგმურად ერთი თვის ვადაში, რომლის შედეგები დამატებით უნდა იქნას წარდგენილი ცენტრში;

5.1.13 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საანგარიშო წლის ბოლოსათვის უანგარო დონაციათა 10%-იან მატების მისაღწევად საჭირო ღონისძიებების გატარება და ამის თაობაზე ცენტრის ინფორმირება

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6.2 „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშგების ფორმა, მიწოდების ადგილი და ვადები.

7.1 „მომსახურების“ გაწევის ვადაა 2015 წლის 1 ნოემბრიდან - 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.2 „მომსახურების“ მიწოდების ადგილი - „მიმწოდებლის“ ფაქტიური მისამართი;

7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ადგილი - თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

7.4 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ფორმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით შემსყიდველის ინდივიდუალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია, რომელიც განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

7.5 „მომსახურების“ ანგარიშგება ხორციელდება დადგენილების მე-9 მუხლით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 „მიმწოდებელი“ ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული „მომსახურების“ შესახებ, ხელშეკრულების „5.6“, „7.4“ და „7.5“ პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

8.2 „მიმწოდებელი“ „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია წარმოადგინოს სრული წერილობითი ინფორმაცია „მომსახურების“ მიმდინარეობის შესახებ.
8.3 „მიმწოდებელი“ სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი“ ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს“.
8.4 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს“ მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.
8.5 „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებელს“ შორის მომსახურეობის შესრულებაზე ყოველთვიურად განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი ეძლევა „მიმწოდებელს“.
8.6 „შემსყიდველი“ ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის“ სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

9.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
9.3 ანაზღაურება განხორციელდება მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.
9.4 ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
10.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
10.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
10.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.
10.2.2 აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.
10.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.
10.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
10.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება.
10.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.
10.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
10.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
10.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.
10.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.
10.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
10.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
10.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის „მიმწოდებელს“ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გასაწევი „მომსახურეობის“ ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. „შემსყიდველს“ შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.5.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“;

11.5.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში;

11.5.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

11.5.4. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.5.5. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

11.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.7. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11.8. 11.1.-11.9. პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება „მიმწოდებლისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

12.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

12.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

17.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

17.2 ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

17.3 „მიმწოდებელის" პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი „მომსახურების" ფარგლებში, არამედ „შემსყიდველისათვის" იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

18. ხელშეკრულების სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შეთანხმებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18.2 „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

18.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

18.4 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია 2015 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. „მიმწოდებელი" ვალდებულია 2 კვირით ადრე აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ამ ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი" ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა.

18.5 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

19. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

19.1„მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების" მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

19.1.1 უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების" პერიოდს (ან „მომსახურების" დასრულებულ ციკლს).

19.1.2 არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების" ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

19.1.3 განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის" მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

19.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 22 სამუშაო დღე.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

20.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

20.3 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის და მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

21. დამატებითი პირობები

21.1 ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“.

21.2 ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე ვრცელდება აგრეთვე დადგენილებით გათვალისწინებული პირობები.

22. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
მ. ასათიანის ქ. 9
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24NB03301100200165022
გენერალური დირექტორის მოადგილე
ეკატერინე ქავთარაძე

ბ. ა.

„მიმწოდებელი“

შპს „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი“
მისამართი: ქუთაისი, ვარლამიშვილის N5
ს/კ 212677566
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება:
ს.ს „თიბისი ბანკის“ ქუთაისის ფილიალი
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE39TB0358836080100003

დირექტორი:
ნანა ლობჟანიძე

ბ. ა.